დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს

წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - ”ორგანიზაცია”), არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ჯანმრთელობისათვის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის ღონისძიებების გამტარებელ მეთოდურ და კონტროლის განმახორციელებელ ცენტრს.

1.2. ორგანიზაციის დამფუძნებელია მარნეულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „დამფუძნებელი“).

1.3. ორგანიზაცია დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1. ორგანიზაციის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

2.2. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. მარნეული 26 მაისის ქუჩა №80.

2.3. ორგანიზაციას გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, მრგვალი ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

2.4. ორგანიზაციის ელექტორნული ფოსტის მისამართია: elaperadze@mail.ru.

მუხლი 3
საქმინაობის მიზნები

3.1. ორგანიზაციის ფუნქციები:

- მუნიციპალური პროფილაქტიკური პროგრამების შესრულება, ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების მართვა-კოორდინაცია.
- ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის შენარჩუნება/აღდგენის მიზნით დაავადებათა პრევენცია, მათი გავრცელების შესწავლა, კონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

- ეპიდსიტუაციისა და სახელმწიფო პროგრამათა მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უფლებამოსილ და დაინტერესებული სუბიექტებისათვის.
- სამოქალაქო ტერიტორიაზე უზრუნველყოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და ცალკეული მოქალაქეების მიერ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- გააკონტროლოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ინფექციური დავადებათა შემოტანისა და გავრცელების საწინაღმდეგო ღონისძიებების კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულება.
- მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების ტენდენციებისა და დინამიკის, ინფექციური დაავადებათა მასშტაბების, გავრცელების ხასიათისა და მათი სოციალური ეკონომიკური მნიშვნელობის ყოველკვარტალურად შესწავლა.
- ისტორიების ნოზოლოგიების მიხედვით ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო ზონებად დაყოფა და შესაბამისი სამუშაო რუკების შედგენა.
- საყოფაცხოვრებო, შრომის პირობებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დაავადებების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენა და აღრიცხვა.
- ინფექციური დაავადებების აღმოცენების შემთხვევაში, ეპიდპროცესის კონკრეტული მიზეზებისა და მათი განპირობებული ფაქტორების დადგენა.
- ეპიდემიური სიტუაციის გართულების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჯანდაცვის ზემდგომი სამსახურის დროული ინფორმირება.
- პროფილაქტიკური და ეპიდსაწინაღმდეგო ღონისძიებების ადეკვატური სისტემის, მათი თანმიმდევრობის, რეალიზების ვადებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა.
- მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებული პროფილაქტიკური და ეპიდსაწინაღმდეგო ღონისძიებების მასშტაბების, ხარისხის, ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის შესწავლა და საჭიროებისამებრ მათი პერიოდული კორექტირების მიზნით, წინადადებების შემუშავება.
- ეპიდსიტუაციის მოკლე და საშუალო ვადიანი პროგნოზირების შემუშავება.
- ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, ადგილზე მონაცემების შეკრება, მოძიება, რეგისტრაცია და დამუშავება-ანალიზი.
- დაინტერესებული უწყებებისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა სასწრაფო შეტყობინების წესებისა და ვადების მკაცრი დაცვით.
- ნოზოკომიური (საავადმყოფოს შიდა) ინფექციებზე მონიტორინგის განხორციელება.
- ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და ეპიდსაწინაღმდეგო ღონისძიებათა რეალიზება.
- ინფექცურ დავადებათა სპეციფიკური პრევენციული ღონისძიებების გატარების ორგანიზება. მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.
- არაინფექციური დავადებათა კონტროლი. ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება: სათანადო ინფორმაციის შეკრება, მოძიება, რეგისტრაცია, დამუშავება-ანალიზი და ანგარიშგება. პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება მოსახლეობაში.
- ადამიანის ჯამრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების გარემო ფაქტორების შესახებ ინფორმაცის მოძიება, პრევენციული ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და განხორციელება კონპეტენციის ფარგლებში.

- პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებული პერსონალის სწავლების ორგანიზაცია დაავადებათა პრევენციის, დროული ინფორმირების და ეპიდსაწინაღმდეგო ქმედებების საკითხებში.
- ყოველკვირეული, ყოველთვიური წლიური ანგარიშების მომზადება მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის და ჯანდაცვის ზემდგომი სამსახურებისათვის.
- პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა, განხორციელების ორგანიზაცია. სამიზნე კონტიგენტების იმუნიზაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლის უზრუნველყოფის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.
- ცოფთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და განხორციელების მეთვალყურეობა.
- ცოფის გავრცელების სისტემური მართვის პროცესებზე სისტემური მონიტორინგის წარმოება და სათანადო სამსახურების დროული ინფორმირება.
- ანტირაბიული კაბინეტის ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, სამედიცინო პერონალის ინსტრუქტაჟი შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების და სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვის შესახებ.
- ანტირაბიული მომსახურების სწორი ტაქტიკის და ცივი ჯაჭვის მოთხოვნათა დაცვაზე მონიტორინგი. ანტირაბიული მომსახურების ეპიდანალიზის წარმოება.
- სამოქმედო ტერიტორიაზე ,,ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №70 ბრძანებულებაში ,,ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 16 აპრილის №173 ბრძანებულებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, ყოველკვარტალური ანალიზი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმირება.
- ჰიდროფობიის საეჭვო დიაგნოზით ადამიანის გარდაცვალების სემთხვევაში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით პათოლოგიური მასალის ლაბორატორიული გამოკვლევის ხელშეწყობა და ჰიდროფობიით ადამიანის გარდაცვალების თითოეული შემთხვევის საგანგებო განხილვის ორგანიზაციია.
- ადამიანისათვის ჰიდროფობის დიაგნოზის დასმისა და ცოფზე საეჭვო ცხოველთან ადამიანის კონტაქტის ყველა შემთხვევის ვეტსამსახურებისათვის სასწრაფო შეტყობინება.
- ცოფზე საეჭვო ცხოველის მიერ დაკბენა-დაკაწვრა-დადორბლის შემთხვევების ეპიდემიოლოგიური შესწავლა.
- ანტირაბიული და ანტიტეტანური საშუალებებით ანტირაბიულიუს კაბინეტების მოთხოვნილების განსაზღვრა.
- პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებული პერსონალის სწავლების ორგანიზაცია ანტირაბიული დახმარების საკითხებში მოსახლეობასთან პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა.
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადების აქტიური გამოვლინების მიზნით, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესწავლა;
- პროსტიტუციის (განსაკუთრებით ადრეულ ასაკში) გამოვლენებისათვის სოციოლოგიური გამოკვლევების განხორციელების ხელშეწყობა, მისი პროფილაქტიკისა და შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა;
- მოსახლეობის აივ ინფექციის/შიდსის, B და C ჰეპატიტებისაგან სიფილისისაგან უსაფრთხო სისხლით და სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია.

- ნარკომანიის გავრცელების შემცირების ხელშეწყობა.
- ნარკომანიით და ალკოჰოლიზმით დაავადებულთა სავალდებულო მკურნალობის ხელშეწყობა.
- წამალდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების პროგრამის შემუშავება.
- პრესის, ტელევიზისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებისადმი საზოგადოებრივი უარყოფითი აზრის ფორმირებების ხელშეწყობა.
- იოდის და სხვა მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვევულ დარღვევათა ეპიდემიოლოგიური კვლევა, სტანდარტული დიაგნოსტიკის წარმოება დავადების გამოვლენის მიზნით, გამომწვევი მიზეზების დადგენა, პროფილაქტიკის ხელშეწყობა.
- მოსახლეობის ფართო ფენების ადეკვატური ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევების (თამბაქოს, ალკოჰოლის და სხვა ფსიქიატრიული ნივთიერებების წინაღმდეგ) და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ.
- ტრანვატიზმის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა. ტრამვის რეგისტრაციისა და ანალიზის საინფორმაციო სისტემების სრულყოფის ხელშეწყობა.
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების საწინაღმდეგო მოხმარების, ჯანსაღი ქცევებისა და უნარჩვევების დანერგვისათვის მიზნობრივი ინფორმირების, ონკოპრევენციულ ღონისძიებათა, ძალადობის და მენტალური მდგრადობის შესახებ აქტუალური ინფორმაციის და შესაბამის პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელება.
- ტუბერკულოზის საწინაღმდეგო ღონისძიებების მონიტორინგი და ხელშეწყობა;
- კონტრაცეფტივებისა და ჯანსაღი სექსუალური ცხოვრების პროპაგანდა;
- პირის ღრუს ჰიგიენის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმთელობისათვის, მისი მასობრივი პროპაგანდა და პრევენციული ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა.
- ორგანიზაცია გაუწიოს ,,ცივი ჯაჭვის“ სისტემის დაცვით იმუნოპროფილაქტიკის ბაქტერიულ და ვირუსული პრეპარატების შენახვასა და ტრანსპორტირებას.
- აწარმოოს კვებითი მოშხამვების, სასმელიწყლის და საკვებით გამოწვეული ეპიდაფეთქებათა კვლევა.
- დიაგნოსტიკური (ავადმყოფებში) და პროფილაქტიკური (კონტაქტირებულებაში) ბაქტერიოლოგიური და სხვა ლაბორატორიული გამოკვლევების ორგანიზაცია-გატარება.
- გატაროს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების სამოქმედო ტერიტორიაზე.
- მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალს საავადმყოფოს შიდა ინფექციების, დაავადებათა პროფილაქტიკისა, ეპიდაფეთქებებთან და ეპიდემიებთან ბრძოლის, ფსიქოსოციალური დახმარების და პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ტრენინგების, საექთნო საქმის ორგანიზება-გატარებას საზ. ჯან. დაცვის დონეზე.
- ორგანიზება გაუკეთოს (ჩაატაროს რაიონულ კომფერენციების, სემინარების ეპიდსიტუაციის, პრევენციის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვა პირველადი ჯ/დაცვის საკითხებზე.
- განახორციელოს ინფექციური კერების, ასევე პროფილაქტიკური მიზნით დეზინსექცია, დეზინსფექცია და დერატიზაცია.
- საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და სანიტარული ნორმების კონტროლი.

3.2. ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსი“, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, სხვა საკანონმდებლო, კანონმდებარე აქტები და ეს წესდება.

3.3. ჯანდაცვის ცენტრი საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე უფლებამოსილია გამოიყენოს და დადგენილი წესით განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მისი კომპეტენციაში შემავალი ყველა სხვა საკითხი.

მუხლი 4
ორგანიზაციის მართვა

4.1. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.

4.2. დირექტორი:

ა) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ორგანიზაციას ყველა ინსტანციაში.

ბ) პასუხს აგებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

გ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს.

დ) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივი სარგოების პროექტს.

ე) ნიშნავს და ანთავისუფლებს ორგანიზაციის მოსამსახურეებს;

ვ) უფლებამოსილია, კანონდებლობით დადგენილი წესით შეიძინოს და გაასხვისოს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

ზ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

თ) დამფუძნებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

4.3 ორგანიზაციის კონტროლი:

ორგანიზაციის კონტროლს და დამფუძნებლის უფლებამოსილებას ერთპიროვნულად ახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 5
ანგარიშგება

5.1. ორგანიზაციის მართვა ხორციელდება დამფუძნებლისა და დირექტორის მიერ.

5.2. ორგანიზაციის მართვის უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება განისაზღვრება ამ დებულებით დადგენილი წესისი შესაბამისად.

5.3. ფინანსური ანგარიშგება:

5.3.1. ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს დამფუძნებლებს სამუერნეო წლის მომდევნო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში.

5.3.2. ფინანსურის ანგარიშგება უნდა იქნეს შედგენილი საერთაშორისო სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6
ორგანიზაციის უფლება

6.1. წარმართოს თავისი საქმიანობა დამტკიცებული საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში.

6.2. მეთოდური დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, ს/ამბულატორიებს.

6.3. დადოს ხელშეკრულებები და შეიმუშაოს დამოუკიდებელი, მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის პროგრამები.
6.4. ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.
6.5. მოიძიოს დაფინანსების დამატებითი საშუალებები (მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში)
6.6. წარმართოს სამეურნეო და სხვა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმო საქმიანობაზე.
6.7. მოაწყოს, თავად გამართოს და მონაწილეობა მიიღოს კომერციულ ან საქველმოქმედო ღონისძიებებში.
6.8. აწარმოოს აუდიო და ვიდეო ჩაწერა.
6.9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს პროექტი, დამფუძნებელის მიერ დამტკიცების მიზნით.
6.10. დამფუძნებელთან შეთანხემბით დაადგინოს მატერიალური წახალისების ფორმები და სისტემები.
6.11. დამფუძნებელთან შეთანხმებით შეიმუშაოს ორგანიზაციის შინაგანაწესი.

მუხლი 7
ორგანიზაცია ვალდებულია

7.1. წარმართოს თავისი საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.
7.3. დაიცვას დადგენილი სტანდარტები.
7.4. პრაქტიკული და თეორიული დახმარება გაუწიოს ჯანდაცვის დაწესებულებებს (ს/ამბულატორიები, საავადმყოფო, სამშობიარო, ვენ. და ტუბ. დისპანსერები).

მუხლი 8
თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან

8.1.ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან შემდეგი მიმართულებით:
- ნაწლავთა ინფექციების კერაში დაავადების სამი ან მეტი შემთხვევის შესახებ;
- შიდსის და ჰეპატიტ B - სა და C - ს თითეული შემთხვევის შესახებ დაკავშირებულს მომსახურეობის სფეროს ობიექტებთან;
- ზოონოზური (ცოფი, ჯილეხი, ტრიქენოლოზი) დაავადებების თითოეული, ასევე ბრუცელიოზის სამი ან მეტი შემთხვევის შესახებ;
- ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული და სხვა ფაქტორით განპირობებული ჯგუფური არაგადამდები დავადებების სამი ან მეტი შემთხვევის შესახებ;
- კვებითი მოშხამვის ჯგუფური შემთხვევა;
- სხიური დავადებების თითოეული შემთხვევა;
- სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებში საავადმყოფოს შიგა ინფექციების ჯგუფური შემთხვევების აღმოცენების შესახებ.

8.2. ორგანიზაცია უფლებამოსილია მიიღოს და დაამუშაოოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- სამოქმედო ტერიტორიის საერთო სანიტარული - ჰიგიენური დახასიათება, ადამიანის ჯამრთელობაზე მავნე ზემოქმედების კონკრეტული გარემო ფაქტორების მითითებით;

- ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის ობიექტების დისლოკაციის თაობაზე (წელიწადში ერთჯერ და საჭიროების შემთხვევაში)
- სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური ნორმატივებთან შეუსაბამობის შესახებ, სასწრაფო შეტყობინების წესით;
- გარემოს ობიექტებში იმ დამაბინძურებელი აგენტების გამოვლინების ფაქტების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას ატმ. ჰაერის დაბინძურება, I და II კატეგორიის წყალსატევების დაბინძურება, მაიონიზირებული და არამაიონიზირებული გამოსხივების დონის მომატება და სხვა.

8.3. კვებითი მოშხამვების (გარდა საოჯახო შემთხვევებისა) პროფესიული დაავადებების და მოშხამვების, გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ჯგუფური შემთხვევების შესწავლა.

8.4. ორგანიზაცია ვალდებულია იქონიოს მჭიდრო კავშირი რაიონში არსებული ყველა სხვა სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებებთან და საჭიროების შემთხვევაში თავის კომპეტენციის ფარგლებში მათთან გააფორმოს ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება.

მუხლი 9
ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტლებით.

9.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38^1 მუხლის შესაბამისად.

9.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

9.4. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

9.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

9.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

9.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 10
დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების გამოცემისა და ამ წესდების იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

10.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

10.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

10.4. წესდება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ორგანიზაციის დამფუძნებელთან, მეორე დირექტორთან და მესამე საქართველოს იუსტიციის სამინისიტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.